CONSTRUCTION OF SOCIAL REALITY: AN ANALYSIS OF THE EXPERIENCES OF RESETTLED ADJARIAN MIGRANTS IN TSALKA MUNICIPALITY

სოციალური რეალობის კონსტრუირება აჭარიდან ჩასახლებულთა გამოცდილების ანალიზი წალკის მუნიციპალიტეტში

ANA BAGRATIONI
PhD student at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University;
Tbilisi, Georgia
Researcher,
Niko Berdzenishvili Institute,
Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
+995577154907
Anabagrationi.1131@gmail.com
https://orcid.org/0009-0003-5319-7775

Abstract

Social reality under conditions of migration constitutes a dynamic process shaped by the interaction of individual experiences, social relations, and cultural practices, which is particularly evident in multiethnic environments. The present study aims to analyze the socio-cultural experiences of individuals resettled from Adjara to the Tsalka municipality and to examine the process of social reality construction, with particular emphasis on how resettled individuals organize their everyday lives and establish their place within a new social context. The research is based on a qualitative ethnographic methodology. Data were collected through in-depth interviews. The findings indicate that resettled individuals actively participate in shaping social reality, as reflected in the reconstruction of everyday life, the dynamic transformation of identity, the gradual formation of social relations, and the adaptation of cultural practices. The study reveals that migrants simultaneously preserve and transform elements of their cultural heritage, resulting in the formation of a hybrid social space. The research confirms that integration is not a linear process but is shaped by structural conditions, contributing to migration and social constructionist theory and providing a practical basis for improving migration policy.

Keywords:

social constructionism; adaptation strategies; integration; multiethnic environment; eco-migrants; resettled populations.

ანა ბაგრატიონი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
თბილისი, საქართველო
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი
ბათუმი, საქართველო
+995577154907
Anabagrationi.1131@gmail.com
https://orcid.org/0009-0003-5319-7775

აბსტრაქტი

სოციალური რეალობა მიგრაციის პირობებში წარმოადგენს დინამიკურ პროცესს, რომელიც ყალიბდება ინდივიდუალური გამოცდილების, სოციალური ურთიერთობებისა და კულტურული პრაქტიკების ურთიერთქმედებით, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა მრავალეთნიკურ გარემოში. წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს აჭარიდან წალკის მუნიციპალიტეტში ჩასახლებულთა სოციალურ-კულტურული გამოცდილების ანალიზს და სოციალური რეალობის კონსტრუირების პროცესის შესწავლას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ ახდენენ ჩასახლებულები ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზებას და საკუთარ ადგილის დამკვიდრებას ახალ სოციალურ სივრცეში. კვლევა ეფუძნება თვისობრივ ეთნოგრაფიულ მეთოდოლოგიას. მონაცემები შეგროვდა სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ჩასახლებულები აქტიურად მონაწილეობენ სოციალური რეალობის ფორმირებაში, რაც გამოიხატება ყოველდღიური ცხოვრების რეკონსტრუქციაში, იდენტობის დინამიკურ ტრანსფორმაციაში. სოციალური ურთიერთობების ეტაპობრივ ჩამოყალიბებასა და კულტურული პრაქტიკების ადაპტაციაში. გამოვლინდა, რომ ჩასახლებულები ერთდროულად ინარჩუნებენ და გარდაქმნიან საკუთარ კულტურულ ელემენტებს, რის შედეგადაც ყალიბდება ჰიბრიდული სოციალური სივრცე. კვლევა ადასტურებს, რომ ინტეგრაცია არ წარმოადგენს ხაზოვან პროცესს და განისაზღვრება სტრუქტურული პირობებით, რაც ამდიდრებს მიგრაციისა და სოციალური კონსტრუქციონიზმის თეორიულ ჩარჩოს და ქმნის პრაქტიკულ საფუძველს მიგრაციის პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის.

საკვანძო სიტყვები:

სოციალური კონსტრუქციონიზმი; ადაპტაციის სტრატეგიები; ინტეგრაცია; მრავალეთნიკური გარემო; ჩასახლებულები; ეკომიგრანტები.

შესავალი

მიგრაცია ეს არის პროცესი, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ გეოგრაფიული გადაადგილებით. თანამედროვე მიგრაციული პროცესები განიხილება სოციალური რეალობის გარდაქმნის კონტექსტშიც. მიგრაცია ცვლის ყოველდღიური ცხოვრების სტრუქტურებს, ურთიერთობებსა და მნიშვნელობებს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა შიდა მიგრაციის პირობებში.

საქართველოში შიდა მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით განპირობებული გადაადგილება, განსაკუთრებით აჭარიდან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში. ამ პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ არეალს წარმოადგენს წალკის მუნიციპალიტეტი, რომელიც ისტორიულად გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით და სოციალური პლურალიზმით.

კვლევაში გამოყენებული ტერმინი „სოციალური რეალობის კონსტრუირება“ აღნიშნავს პროცესს, რომლის მიხედვითაც სოციალური რეალობა არ განიხილება, როგორც წინასწარ მოცემული, ობიექტური და უცვლელი მოცემულობა, არამედ როგორც ადამიანთა შორის ურთიერთქმედების შედეგად შექმნილი და მუდმივად გარდაქმნადი ფენომენი. ამ მიდგომის მიხედვით, ინდივიდები და ჯგუფები ყოველდღიური პრაქტიკების, კომუნიკაციისა და სოციალური ინტერპრეტაციების მეშვეობით ქმნიან მნიშვნელობებს. ამ ტერმინის თეორიული საფუძველი მოდის პიტერ ბერგერისა და თომას ლუკმანის ნაშრომიდან „რეალობის სოციალური კონსტრუქცია, (Berger P. L., Luckmann T., 1991). სადაც ავტორები ამტკიცებენ, რომ სოციალური რეალობა ყალიბდება „ობიექტივობისა და ინტერნალიზაციის“ პროცესების მეშვეობით. შესაბამისად, რეალობა, რომელსაც ადამიანები აღიქვამენ, როგორც ბუნებრივს და მოცემულს, სინამდვილეში არის ისტორიულად და სოციალურად შექმნილი.

ამ კვლევის კონტექსტში „კონსტრუირება“ გამოიყენება იმის აღსაწერად, თუ როგორ ქმნიან აჭარიდან წალკაში ჩასახლებულები ახალ სოციალურ გარემოს საკუთარ ყოველდღიურ პრაქტიკებში, როგორ ახდენენ გამოცდილების ინტერპრეტაციას და როგორ აყალიბებენ ახალ სოციალურ ურთიერთობებსა და იდენტობას. ამგვარად, კონსტრუირება მოიაზრება, როგორც დინამიკური და მუდმივად მიმდინარე პროცესი და არა ერთჯერადი ადაპტაციის შედეგი.

მიუხედავად მიგრაციის თემაზე არსებული ფართო ლიტერატურისა, საქართველოში ნაკლებად არის შესწავლილი, თუ როგორ ქმნიან შიდა გადაადგილებული ადამიანები ახალ სოციალურ რეალობას კონკრეტულ მულტიკულტურულ გარემოში, როგორიცაა წალკა. არსებული კვლევები ძირითადად ფოკუსირებულია ადაპტაციისა და ინტეგრაციის ზოგად პროცესებზე, მაშინ როდესაც ნაკლებად არის გაანალიზებული ადამიანთა ყოველდღიური პრაქტიკები, როგორც კონსტრუირების მექანიზმი.

კვლევა მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. თეორიულად იგი აერთიანებს კონსტრუქციონიზმისა და მიგრაციის კვლევებს ერთ ჩარჩოში. პრაქტიკულად კი, კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას შიდა მიგრაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკის დაგეგმვაში, განსაკუთრებით მრავალეთნიკურ რეგიონებში.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია აჭარიდან წალკაში ჩასახლებულთა სოციალური რეალობის კონსტრუირების პროცესის ანალიზი. კერძოდ, თუ როგორ ყალიბდება ყოველდღიური ცხოვრება ახალ გარემოში, როგორ ტრანსფორმირდება კულტურული პრაქტიკები და როგორ იქმნება სოციალური ურთიერთობები მრავალეთნიკურ სივრცეში.

მეთოდები

მოცემული კვლევა ეფუძნება თვისობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. თვისობრივი მიდგომა არჩეულია იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის საგანი სოციალური რეალობის აღქმა, ინტერპრეტაცია და კონსტრუირება წარმოადგენს სუბიექტურ და კონტექსტზე დამოკიდებულ პროცესს, რომლის ანალიზი მოითხოვს ნარატიულ და ინტერპრეტაციულ მიდგომას. ამ თვალსაზრისით, კვლევა ეყრდნობა ეთნოგრაფიულ მიდგომას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ყოველდღიურ პრაქტიკებსა და მნიშვნელობათა სისტემებს.

კვლევა განხორციელდა წალკის მუნიციპალიტეტში. საველე მუშაობა მოიცავდა უშუალო კონტაქტს მთხრობელებთან, რაც საშუალებას იძლევა პროცესის შესწავლას ჩასახლებულთა პერსპექტივიდან.

მთხრობელთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით, რაც გულისხმობს იმ მთხრობელთა შერჩევას, რომლებიც ფლობენ რელევანტურ გამოცდილებას კვლევის საკითხთან მიმართებით. კვლევაში ჩართული იყვნენ აჭარიდან ჩასახლებული პირები, რომლებსაც აქვთ წალკაში ცხოვრების მინიმუმ რამდენიმე წლის გამოცდილება.

ყველა მონაწილე ინფორმირებული იყო კვლევის მიზნის შესახებ და მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. უზრუნველყოფილი იქნა ანონიმურობა და კონფიდენციალურობა.

ამგვარად, გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომა უზრუნველყოფს კვლევის სიღრმისეულობას და საშუალებას იძლევა სოციალური რეალობის კონსტრუირების პროცესი გაანალიზდეს, როგორც დინამიკური და კონტექსტზე დამოკიდებული ფენომენი.

შედეგები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აჭარიდან წალკაში ჩასახლებულთა სოციალური რეალობის ფორმირება მიმდინარეობს დინამიკურ პროცესში, რომელიც მოიცავს, როგორც ეკონომიკურ, ისე კულტურულ და სოციალურ განზომილებებს. მიღებული მონაცემების მიხედვითა ადაპტაცია არ არის მხოლოდ გარემოსთან მორგება, არამედ სოციალური რეალობის აქტიური კონსტრუირების პროცესი.

პირველი მნიშვნელოვანი მიგნება უკავშირდება ეკონომიკურ ადაპტაციას. მთხრობელთა გამოცდილება აჩვენებს, რომ ახალი გარემო ხშირად აღიქმება, როგორც ეკონომიკურად შედარებით სტაბილური, თუმცა დღევანდელი პირობებით ნაკლები შემოსავლიანი ვიდრე ადრე. კლიმატური და გარემო ფაქტორები, ასევე რესურსებზე ხელმისაწვდომობა, პირდაპირ გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე. მიუხედავად იმისა, რომ წალკაში მიწის დამუშავება ტექნიკურად უფრო მარტივია, პროდუქტიულობა და ეკონომიკური შედეგები ხშირად არ აკმაყოფილებს მოლოდინებს. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ ეკონომიკური ფაქტორები წარმოადგენს სოციალური რეალობის კონსტრუირების ერთ-ერთ ცენტრალურ კომპონენტს. (ცხრილი 1.)

მეორე მიგნება ეხება კულტურული პრაქტიკების ტრანსფორმაციას. მონაცემები აჩვენებს, რომ ჩასახლებულები ინარჩუნებენ ტრადიციულ კულტურულ ელემენტებს, განსაკუთრებით კულინარიასა და რიტუალებში, თუმცა მათი განხორციელება დამოკიდებულია ადგილობრივ რესურსებზე. მაგალითად, ტრადიციული კერძების მომზადება ზოგჯერ შეზღუდულია ინგრედიენტების ხელმისაწვდომობით, თუმცა ყოველდღიური კვებითი რაციონს იმეორებენ, იგივე კერძებს ამზადებენ და ცდილობენ მაქსიმალურად შეინარჩუნონ თავიანთი ტრადიციები.

მესამე მნიშვნელოვანი შედეგი უკავშირდება სოციალურ ურთიერთობებს მრავალეთნიკურ გარემოში. კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ საწყის ეტაპზე ურთიერთობები ხასიათდებოდა დაძაბულობითა და კონკურენციით, თუმცა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა თანამშრომლობისა და თანაცხოვრების პრაქტიკები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების, შრომისა და ყოველდღიური ურთიერთობების სფეროებში თანამშრომლობა, რაც მიუთითებს ინტეგრაციის ეტაპობრივ ხასიათზე. (ცხრილი 2.)

საბოლოოდ, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სოციალური რეალობის კონსტრუირება აჭარელი ეკომიგრანტების შემთხვევაში არის კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ფაქტორებს. მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ ინტეგრაცია არ არის ერთმხრივი პროცესი, არამედ

მრავალმხრივი და დინამიკური ურთიერთქმედების შედეგი, რაც შეესაბამება სოციალური კონსტრუქციონიზმის თეორიულ ჩარჩოს (Berger P. L., Luckmann T., 1991).

მსჯელობა

საქართველოში შიდა მიგრაცია გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციებისა ისტორიულად დაკავშირებულია ბუნებრივ კატასტროფებთან, განსაკუთრებით კი აჭარისა და სვანეთის მთიან რეგიონებში მეწყრებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების ხშირ შემთხვევებთან. როგორც ECMI-ის კვლევები აჩვენებს, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული ეკომიგრაციის პროცესი გახდა მზარდი დემოგრაფიული ტენდენცია, რომელიც ხშირად აღემატებოდა სახელმწიფოს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს (ლაილი ჯ., 2012) საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში განსახლების პოლიტიკა იყო ფრაგმენტული და არათანმიმდევრული, რაც განაპირობებდა გადასახლებულთა სოციალურ დაუცველობასა და ინტეგრაციის სირთულეებს (ფუტკარაძე თ., 2006).

განსაკუთრებით აღსანიშნავია წალკის რეგიონი, რომელიც ისტორიულად მრავალეთნიკური სივრცეა. რეგიონი დასახლებული იყო ბერძნული და სომხური მოსახლეობით, ხოლო 1990-იანი წლებიდან დემოგრაფიული ცვლილებები მოხდა ბერძნების ემიგრაციის შედეგად (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.,, 2007). სწორედ ამ პერიოდში დაიწყო აჭარიდან ეკომიგრანტების, შემდგომში კი სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით აჭარიდან მოსახლეობის ჩასახლება (საველე მასალები, 2025). სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ეკომიგრანტთა განსახლება ხშირად არ ეფუძნებოდა გრძელვადიან სტრატეგიას. ჩასახლებულ ადამიანთა გადანაწილება ძირითადად ფოკუსირებული იყო ფიზიკურ განთავსებაზე, ხოლო სოციალური ინტეგრაციის, ეკონომიკური სტაბილურობისა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის საკითხები ნაკლებად იყო გათვალისწინებული (ეკომიგრაცია საქართველოში: პრობლემები და გამოწვევები, 2016). შედეგად ჩასახლებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა არასტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში.

ამ პრობლემას ამძაფრებს სოციალური აღქმის დონე აჭარელი ეკომიგრანტები პირველ წლებში განიცდნენ არასტაბილურობის განცდას ახალ გარემოში, რაც გავლენას ახდენს მათ თვითიდენტობაზე და ინტეგრაციის პროცესზე განსაკუთრებით პრობლემურია საცხოვრებელი პირობების სამართლებრივი გაურკვევლობა. (ლაილი ჯ., 2012)

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სოციალური რეალობის კონსტრუირება აჭარიდან წალკაში ჩასახლებულთა შემთხვევაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოველდღიური ცხოვრების მატერიალურ და სოციალურ პირობებთან. ჩასახლებულთა გამოცდილება არ არის ერთგვაროვანი და ხშირად ასახავს წინააღმდეგობრივ პროცესებს, სადაც ადაპტაცია და დანაკარგი თანაარსებობს. მაგალითად, ერთ-ერთი მთხრობელის მონათხრობში აშკარად იკვეთება ცხოვრების ხარისხის ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია როგორც ეკოლოგიურ, ისე ეკონომიკურ პირობებთან: „რომ ჩამოვედით იყო მოსავალი, ახლა აღარც კარტოფილი მოდის… ადრე უკეთესად ვცხოვრობდი… ახლა კი რთული პირობები მაქვს“ (საველე მასალები, 2025)

ეს გამოცდილება აჩვენებს, რომ სოციალური რეალობის კონსტრუირება მხოლოდ კულტურულ დონეზე არ მიმდინარეობს, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური სტრუქტურები და გარემო პირობები. შესაბამისად, ჩასახლებულების მიერ ახალი რეალობის აღქმა ზოგ შემთხვევაში კრიტიკულია და უკავშირდება ცხოვრების გაუარესების განცდას, რაც ნაწილობრივ ეწინააღმდეგება იმ თეორიებს, რომლებიც მიგრაციას მხოლოდ შესაძლებლობების სივრცედ განიხილავს.

ამავე დროს, მონაცემები ცხადყოფს, რომ ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს შრომით პრაქტიკებს. მთხრობელები ხაზს უსვამენ, რომ ახალ გარემოში გადარჩენა დიდწილად დამოკიდებულია შრომის უნარზე, რაც აყალიბებს სოციალურ რეალობას როგორც „შრომაზე დაფუძნებულ წესრიგს". როგორც ერთ-ერთი მთხრობელი აღნიშნავს, „ვისაც მუშაობა შეუძლია ჩამოვიდეს და იცხოვრებს აქ, თუ არ შეუძლია ვერ იცხოვრებს" (საველე მასალები, 2025). ამგვარად, სოციალური ინტეგრაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ აქტივობასთან და არა მხოლოდ კულტურულ ადაპტაციასთან.

განსაკუთრებით საინტერესოა დროითი დინამიკა, რომელიც ჩანს ადამიანთა მონათხრობებში. საწყისი პერიოდი აღიქმება როგორც მძიმე და არასტაბილური, თუმცა დროთა განმავლობაში ვითარდება შედარებითი სტაბილიზაცია. ერთ-ერთი მთხრობელი აღნიშნავს, რომ „2006 წლის მერე მოვიკიდეთ ფეხი… მანამდე ბევრჯერ ვიფიქრე დაბრუნებაზე" (საველე მასალები, 2025). ეს მიუთითებს, რომ სოციალური რეალობის კონსტრუირება არის ხანგრძლივი და ეტაპობრივი პროცესი, რაც შეესაბამება ადაპტაციის დინამიკურ მოდელებს, თუმცა ამავე დროს აჩვენებს მის არახაზოვან ბუნებას.

კვლევაში ასევე ჩანს სივრცით-კულტურული განსხვავებები, რომლებიც გავლენას ახდენს ყოველდღიურ პრაქტიკებზე. აჭარასთან შედარებით, წალკაში მიწის დამუშავება აღიქმება, როგორც ტექნოლოგიურად უფრო მარტივი, თუმცა ამავდროულად ნაკლებად პროდუქტიული ან განსხვავებული ვიდრე ადრე. პარალელურად, ფიქსირდება შრომითი გამოცდილების ტრანსფორმაცია ფიზიკურად მძიმე შრომიდან შედარებით გამარტივებულ ფორმებზე გადასვლა, რაც გავლენას ახდენს თვითაღქმასა და იდენტობაზე.

კულტურული პრაქტიკების ანალიზი აჩვენებს შერჩევითი შენარჩუნებისა და ტრანსფორმაციის პროცესს. მთხრობელები აღნიშნავენ, რომ ინარჩუნებენ ტრადიციულ კერძებსა და რიტუალებს, თუმცა მათი შესრულება დამოკიდებულია ადგილობრივ რესურსებზე. მაგალითად, აღინიშნება, რომ ტრადიციული კერძების მომზადება შეზღუდულია ნედლეულის ნაკლებობის გამო, რაც იწვევს კულტურული პრაქტიკის ნაწილობრივ ცვლილებას. ამასთანავე, აღინიშნება ტრადიციების გადატანის მცდელობა ახალ გარემოში, რაც მიუთითებს კულტურული მეხსიერების აქტიურ როლზე.

სოციალური ურთიერთობების დონეზე კვლევა აჩვენებს, როგორც დაძაბულობის, ისე თანამშრომლობის პროცესებს. საწყის ეტაპზე დაფიქსირდა კონფლიქტური ეპიზოდები, რაც ასახავს ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონკურენციას: „ახალი ჩამოსულები ვიყავით… ფეხბურთში რომ მოვუგეთ სომხებს… ეს ვერ აიტანეს" (საველე მასალები, 2025). თუმცა დროთა განმავლობაში ეს ურთიერთობები ტრანსფორმირდება თანამშრომლობის მიმართულებით, რაც გამოიხატება განათლებისა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში - მაგალითად, ქართველების მიერ სომხურ სოფლებში ქართული ენის სწავლება (საველე მასალები, 2025).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული გაცვლის პროცესები, რომლებიც აჩვენებს, რომ ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია. ჩასახლებულები არა მხოლოდ იღებენ ადგილობრივ პრაქტიკებს, არამედ თავადაც ახდენენ გავლენას მათზე. მაგალითად, მთხრობელები აღნიშნავენ, რომ ბერძნებმა მათგან გარკვეული აგრარული პრაქტიკები ისწავლეს, ხოლო თავად აითვისეს სხვა ეთნიკური ჯგუფების კულინარიული ტრადიციები (საველე მასალები, 2025). ეს პროცესები ადასტურებს, რომ სოციალური რეალობა იქმნება ურთიერთობების შედეგად.

რელიგიური და სადღესასწაულო პრაქტიკებიც მიუთითებს, რომ სხვადასხვა კონფესიური ჯგუფები ინარჩუნებენ საკუთარ ტრადიციებს, თუმცა ამავდროულად მონაწილეობენ ერთმანეთის კულტურულ ცხოვრებაში. მაგალითად, მუსლიმური და ქრისტიანული დღესასწაულების დროს კერძების ურთიერთგაცვლა აახლოებს განსხვავებული რელიგიის ადამიანებს (საველე მასალები, 2025).

გარდა ამისა, ინტერვიუები აჩვენებს სოციალური კავშირების ტრანსფორმაციას როგორც ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ასევე შიგნით. აღინიშნება შერეული ქორწინებები, რაც მიუთითებს სოციალური საზღვრების ნაწილობრივ რღვევაზე და ახალი იდენტობების ფორმირებაზე.

საბოლოოდ, წარმოდგენილი საველე მასალები ადასტურებს, რომ სოციალური რეალობის კონსტრუირება არის მრავალასპექტიანი პროცესი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ განზომილებებს. ჩასახლებულები ერთდროულად განიცდიან დანაკარგს, ადაპტაციას და ახალ შესაძლებლობებს, რაც ქმნის კომპლექსურ და დინამიკურ სოციალურ რეალობას.

დასკვნები

წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, რომ აჭარიდან წალკაში ჩასახლებულთა ადაპტაცია და ინტეგრაცია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთმნიშვნელოვანი ან ხაზოვანი პროცესი, ამ პროცესში ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ ეკონომიკური პირობები, კულტურული პრაქტიკები და სოციალური ურთიერთობები.

ეკონომიკური ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად გარკვეული შესაძლებლობებისა, როგორიცაა მიწის მექანიზირებული დამუშავება, ჩასახლებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცხოვრობს არასტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. ეს გარემოება ზღუდავს მათი ინტეგრაციის შესაძლებლობებს (ეკომიგრაცია საქართველოში: პრობლემები და გამოწვევები, 2016)

კულტურული თვალსაზრისით, კვლევა აჩვენებს, რომ აჭარიდან ჩასახლებულები ინარჩუნებენ მნიშვნელოვან ტრადიციულ ელემენტებს, თუმცა ეს პროცესები არ არის სტატიკური. კულტურული პრაქტიკები ტრანსფორმირდება ახალი გარემოს გავლენით და ყალიბდება ჰიბრიდული ფორმები, რაც მიუთითებს კულტურული ადაპტაციის მოქნილ და შემოქმედებით ხასიათზე. ამასთან, აჭარა კვლავ რჩება სიმბოლურ საკუთარ სივრცედ, რაც ადასტურებს იდენტობის დუალისტურობას

სოციალური ურთიერთობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მრავალეთნიკურ გარემოში ინტეგრაცია მიმდინარეობს ეტაპობრივად. საწყისი დაძაბულობის მიუხედავად, დროთა განმავლობაში ყალიბდება თანამშრომლობისა და თანაცხოვრების პრაქტიკები, რაც მიუთითებს, რომ სოციალური ინტეგრაცია დამოკიდებულია ყოველდღიურ ინტერაქციებზე. აღნიშნული შედეგები თანხვედრაშია იმ კვლევებთან, რომლებიც ხაზს უსვამს სოციალური კაპიტალისა და ურთიერთქმედების მნიშვნელობას ინტეგრაციის პროცესში (ლაილი ჯ., 2012)

მნიშვნელოვანი დასკვნაა, რომ ჩასახლებულთა გამოცდილებაში ერთდროულად თანაარსებობს ინტეგრაციისა და დისტანციის ელემენტები. ერთი მხრივ, ისინი ახერხებენ ახალ გარემოში ცხოვრების პრაქტიკების ჩამოყალიბებას, ხოლო მეორე მხრივ, ინარჩუნებენ ძლიერ კავშირს წარმოშობის ადგილთან, რაც ქმნის შუალედურ სოციალურ მდგომარეობას. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ინტეგრაცია არ ნიშნავს სრულ ასიმილაციას.

საბოლოოდ, კვლევა აჩვენებს, რომ აჭარელი ეკომიგრანტების სოციალური რეალობის კონსტრუირება არის კომპლექსური პროცესი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სტრუქტურული ფაქტორებით (ეკონომიკა, პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა), ისე ინდივიდუალური გამოცდილებითა და კულტურული პრაქტიკებით. აღნიშნული შედეგები მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან ისინი იძლევა შესაძლებლობას უკეთ გავიაზროთ ეკომიგრაციის პროცესები და განვავითაროთ უფრო ეფექტიანი ინტეგრაციული პოლიტიკა საქართველოში.

მომავალი კვლევებისთვის მნიშვნელოვანია აჭარიდან ჩასახლებულთა გამოცდილების შედარებითი ანალიზი საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ

ჩასახლებულ ჯგუფებთან, რაც შესაძლებელს გახდის ინტეგრაციის სხვადასხვა მოდელების იდენტიფიცირებას. ასევე, პერსპექტიულია გრძელვადიანი კვლევების განხორციელება, რათა დადგინდეს, როგორ ტრანსფორმირდება სოციალური რეალობის კონსტრუირების პროცესები დროთა განმავლობაში. დამატებით, მიზანშეწონილია რაოდენობრივი და შერეული მეთოდების გამოყენება, რაც გააძლიერებს მიღებული შედეგების განზოგადების შესაძლებლობას და გააფართოებს კვლევის ანალიტიკურ ჩარჩოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ეკომიგრაცია საქართველოში: პრობლემები და გამოწვევები. (2016) თბილისი: დემოკრატიის ინსტიტუტი, ევროპის ფონდი და ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი "ინტელექტი".

ლაილი ჯ. (2012). *ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში, განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები.* სამუშაო მოხსენება #53, ECMI.

(2025). საველე მასალები.

ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.,. (2007). *ეკოლოგიური მიზეზებით ადგილმონაცვლე პირთა განსახლება, არსებული პრობლემების გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა, ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006.*

ფუტკარაძე თ. (2006). *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები.*-ში "ბათუმის უნივერსიტეტი".

Berger P. L., Luckmann T. (1991). *The social construction of reality.* London: Penguin Group. Получено из https://amstudugm.wordpress.com/wp-content/uploads/2011/04/social-construction-of-reality.pdf

References:

Ekomigratsia Sakartveloshi: Problemebi da gamotsvevebi. (2016). Tbilisi: Demokratiis Instituti; Evropeis Fondi; Akhalgazrda Metsnierta Kavshiri “Inteleqti”.

Lyle, J. (2012). *Ekomigrantebis gansakhleba Sakartveloshi: Gansakhlebis politikashi mimdinare cvlilebebi, tendentsiebi, gankhortsieleba da aghkmebi* (Working Paper No. 53). ECMI.

Savele masalebi. (2025).

Trier, T., & Turashvili, M. (2007). *Ekologiuri mizezebit adgilmonatsvle pirta gansakhleba: Arsebuli problemebis gadatskveta tu akhlis shekmna? Ekomigratsia Sakartveloshi 1981–2006.*

Putkaradze, T. (2006). *Acharis mosakhleobis migratsiis istoriul-etnologiuri problemebi.* Batumi: Batumis Universiteti.

Berger, P. L., & Luckmann, T. (1991). *The social construction of reality*. London: Penguin Group.

ცხრილი 1. ეკონომიკური ადაპტაციის ძირითადი მახასიათებლები
(დაფუძნებულია საველე მასალებზე, 2025)

კატეგორია	ძირითადი მიგნება
სოფლის მეურნეობა	შედარებით მეტი პროდუქტიულობა, კლიმატური გავლენა
შრომითი პრაქტიკა	ფიზიკური შრომიდან მექანიზაციაზე გადასვლა
ეკონომიკური სტაბილურობა	არასტაბილური
რესურსებზე წვდომა	თავისუფალი

ცხრილი 2. სოციალური ურთიერთობების დინამიკა

ეტაპი	მახასიათებელი
საწყისი პერიოდი	დაძაბულობა, კონკურენცია
გარდამავალი ეტაპი	ურთიერთობების ნორმალიზაცია
თანამედროვე ეტაპი	თანამშრომლობა და ინტეგრაცია

მინდა გულწრფელი მადლობა გამოვხატო ყველა იმ მთხრობელის მიმართ, რომლებმაც გამიზიარეს საკუთარი გამოცდილება და მონაწილეობა მიიღეს კვლევაში. მათი ნდობა და ღიაობა იყო ამ ნაშრომის განხორციელების უმნიშვნელოვანესი საფუძველი.

რათქმაუნდა მადლობა ყველა იმ პირს, ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებმაც ხელი შემიწყო საველე სამუშაოების ჩატარებაში. გულითადი მადლობა ჩემს მეუღლეს მხარდაჭერისთვის, მნიშვნელოვნად დამეხმარა კვლევის პროცესში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს კოლეგებსა და აკადემიური გარემოს წარმომადგენლებს, რომელთა რეკომენდაციებმა, შენიშვნებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის დახვეწასა და გაუმჯობესებაში.